სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 **დეკემბერი, 2025 წ.**

ბრძანება №01-12/181

ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის სტაჟიორთა სერტიფიცირებისა და მათთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის“**, „ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 01 ოქტომბრის №01-10/79 ბრძანება (ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 20 ოქტომბრის №01-10/83 ბრძანებით), „ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა დანიშვნის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 12 ნოემბრის №01-12/160 ბრძანებისა და ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 14 დეკემბრის MES 0 25 0001782299 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემდეგ სტუდენტებზე, რომლებმაც ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში 2025 წლის 13 ნოემბრიდან 2025 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში **წარმატებით გაიარეს სტაჟირება,** გაიცეს სერტიფიკატები, წინამდებარე ბრძანების თანდართული ფორმის შესაბამისად **(№1 დანართი):**

ა) **ხატია მახარაძეზე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-7 სემესტრის სტუდენტი;
ბ) **სულხან მიქელაძეზე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-9 სემესტრის სტუდენტი;
გ) **სალომე ფუტკარაძეზე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტი.

2. სერტიფიკატების დამზადება და გაცემა უზრუნველყოს ბსუ-ს იურიდიულმა დეპარტამენტმა და საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარია).
3. ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის სტაჟიორებთან (ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები) - **ხატია მახარაძესთან და სულხან მიქელაძესთან** გაფორმდეს შრომითი

ხელშეკრულებები 2025 წლის 16 დეკემბრიდან 5 (ხუთი) თვის ვადით (ნახევარ განაკვეთზე, ყოველთვიური შრომის ანაზღაურება - 500 ლარი).

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: კონკურსები; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტები).

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს და სტაჟიორებს.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 16 დეკემბრის №01-12/181 ბრძანების
№1 დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW – BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

სერტიფიკატი
CERTIFICATE

ადასტურებს, რომ / Confirming that

---------- / ----------

წარმატებით გაიარა (13.11.2025-12.12.2025) სტაჟირება
ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში

From 13.11.2025-12.12.2025 successfully had done
the legal practice at the Legal department of BSU

ბსუ-ს რექტორი: ტიტე არაშიძე
Rector: Tite Aroshidze

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: მერაბ დიასამიძე
Chief of the Administration: Merab Diasamidze

სერტიფიკატის გაცემის საფუძველი: ბრძანება №_____; 16.12.2025 წ.